

საქართველოს ს.ს.რ.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს

საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. იანვრის 31.

№ 2

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

14. საბამზე რაიონებში წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.

15. 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჯგუფის შესახებ.

ხანადირო და სათევზე მეურნეობა.

16. „საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანაბების გადაცემის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

17. ტფალისის ტრამეის შეღავათიანი ბილეთების გაცემის შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა.

18. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულტური მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრის ღონისძიებათა შესახებ.

19. „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულტური მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 8-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მე-2 აბზაცში ცვლილების შეტანის შესახებ.

ხოციალურ-კულტურული წყობილება.

20. საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების გაუქმების შესახებ.

21. მარტსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

22. „ფიზკულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი.

23. სისხლის სამართლის კოდექსის 136 მუხლის შეცვლის შესახებ.

24. სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

14. დადგენილება ს. კ. ს.

საბამზე რაიონებში წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ.

დროებით, ვიდრე განისაზღვრებოდეს კანონით დადგენილი წესისამებრ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობის საერთო სისტემა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს—მოაწყოს, სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, 1931 წ. იანვრის 15-დღე, წყალთა მეურნეობის სარაიონო განყოფილებანი: ა) ბორჩალოსი—ცენტრით სოფ. სანდარში, ბ) ლიუქსემბურგისა—ცენტრით ქ. ლიუქსემბურგში, საგარეჯოსი—ცენტრით სოფ. საგარეჯოში და გურჯაანისა—ცენტრით ქალ. გურჯაანში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს 1-ლ მუხლში განსაზღვრულ ვადაზე მოაწყოს, მთლად ალაზნის საინჟინერო წყალთა სისტემისათვის მომსახურეობის გასაწევად, განსაკუთრებული სამმართველო ცენტრით სოფ. წნორში.

3. დაეკისროს წყალთა მეურნეობის ზემოაღნიშნულ სარაიონო განყოფილებებს და ალაზნის სასისტემო სამმართველოს ყველა ფუნქცია წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოსი, რაც ვათვალისწინებულა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 8-ის დადგენილებაში „წყალთა ადგილობრივი აღმონისტრაციების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის დაქვემდებარების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-რი, მუხ. 91).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოჯია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 5.

ტფილისი—სასახლე.

დამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-6 №-ში 1931 წ. იანვრის 7.

15. დადგენილება ს. კ. ს.

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

ხუთწლიდის მესამე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად ვარდაქმნის წარმატებით განხორციელებისათვის და იგი მოითხოვს ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებს და მთელი მუშაობის გარკვეულ ორგანიზაციას.

ხეთწოდების უკვე გასული ორი წლის მიღწევებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, საბჭოთა მეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობამ, კოლექტიურ მეურნეობებში შესვლის ახალმა ნაკადმა, რამაც თავი იჩინა საშემოდგომო კამპანიის დროს და იმ გარემოებამ, რომ მეურნეობათა საერთო რიცხვის 20% მეტი უკვე მოიცვა კოლექტივიზაციამ, არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცებამ, საბჭოების საორგანიზაციო მნიშვნელობის გაძლიერებამ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისა და კოლექტიურ მეურნეობებისადმი ნებაყოფლობითი მისწრაფების ზრდის საქმეში, კულაების შემდგომმა შეზღუდვამ და გამოდევნამ მათთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებით—უნდა უზრუნველყოფს 1931 წელს საქართველოს კოლექტივიზირებულ ლარებ და საშუალო მეურნეობათა 25—30% და მით მოამზადოს საჭირო პირობები მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის ამ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნათესი ფართობის გადიდება ამ არსებული და ახლად მოწყობილი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობამ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაციის ზრდამ და განმტკიცებამ უნდა უზრუნველყოფს ტექნიკური კულტურების სავაზაფხულო ნაკვეთის ნათესი ფართობის გადიდება 195%-ით, ხოლო საერთო ნათესი სივრცისა—18%-ით; ამასთანვე სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა უნდა გაიზარდოს 34%-მდე, მათ შორის ტექნიკური კულტურებისა—55%-მდე.

საჭიროა მოხდეს ძირითადი გარდატეხა საქართველოს სსრ უაღრესად ზელსაყრელი კლიმატიური პირობების ფართოდ გამოყენების საქმეში, რათა მძლავრად განვითარდეს ძვირფასი ტექნიკური კულტურები და სამრეწველო მეცხოველეობა სოციალისტური სექტორის ზრდისა და მისი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა და ლარობთა და საშუალო გლეხთა მეურნეობების შემდგომი აღორძინების საფუძველზე; ამასთანვე ეს გარდატეხა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგ ძირითად ღონისძიებათა განხორციელებით:

1) ტექნიკური კულტურების ფართობის თვალსაჩინო გადიდებით მსუბუქი მრეწველობის სანედლეულო ბაზის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც უნდა განხორციელდეს ახალი ფართობების კულტურული გამოყენება და სამარცვლეულო კულტურების, პირველ რიგში კი სიმინდის კულტურის განდევნა;

2) მებოსტნეობისა და მებაღეობის ფართო განვითარებით და აგრეთვე ქალაქების საგარეთუბნო მეურნეობათა გაფართოებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა ცენტრების პროდუქტებით მომარაგება;

3) სავაზაფხულო კულტურების, ხოლო პირველ რიგში ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებით, რისთვისაც უნდა განხორციელდეს ყოველგვარი საჭირო აგრო-ტექნიკური ღონისძიებანი.

4) მეცხოველეობის ძირითადი დარგების განსავითარებლად სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით, რისთვისაც საქონლის რაოდენობის საერთო გადიდებასთან ერთად 1931 წ., ეს რაოდენობა გადიდებულ უნდა იქნეს უპირველეს ყოვლისა საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

ამისდამიხედვით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საგაზაფხულო ნაკვეთის საერთო ოდენობა საქართველოს სსრ-ში განსაზღვრულ იქნეს 759.490 ჰექტარით, რისთვისაც საერთო ნათესი ფართობი, წარსულ წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 115.890 ჰექტარით ახლად გამოსული ფართობის ანგარიშზე და სახნავე მიწების უფრო მიზანშეწონილი და სრული გამოყენებით. ამასთან ერთად ტექნიკური კულტურების ფართობი გადიდებულ უნდა იქნეს 127.572 ჰექტარამდე, კერძოდ ბამბის ფართობი—20.000 ჰექტარამდე, კენაფისა—14.000 ჰექტარამდე, სოიასი—100.000 ჰექტარამდე, მთრიცხვეში რიგთა შორის, მთლიან ნათესზე გადატანით,—50.000 ჰექტ., არახისისა—900 ჰექტარამდე, შაქრის კარხლისა—1.100 ჰექტარამდე, თამბაქოსი—25.990 ჰექტარამდე, საყვები კულტურების (ბალახი, სილოსი, ფესვნარი) ფართობი—44.700 ჰექტარამდე, ბოსტნისა და ბახჩისა—20.000 ჰექტარამდე, ლობიოსი—39.400 ჰექტარამდე, მთრიცხვეში, რიგთა შორის—34.400 ჰექტ., კარტოფილისა—20.000 ჰექტარამდე. მრავალწლიანი ნარგავის გაშენების ფართობი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ჩაი—15.000 ჰექტ., ციტრუსოვანი მცენარეები—1.080 ჰექტ., ხეხილის ბაღი—4.500 ჰექტ. და ვენახი—1.956 ჰექტ., რამის გაშენების ფართობი განსაზღვრულ იქნეს 7.500 ჰექტარით და ეთეროსანი მცენარეებისა—1.067 ჰექტ.

ფართობის გადიდებასთან ერთად გაძლიერებულ უნდა იქნეს ყველა სამარცვლეულო კულტურის საშუალო მოსავლიანობა არა ნაკლებ, ვიდრე 9%/ო-ისა, ხოლო კოლმეურნოებში—15%/ო-სა; ნედლი ბამბის საშუალო მოსავლიანობა გადიდებულ იქნეს 7,67 ცენტნერამდე ჰექტარზე.

იმ მიზნით, რათა განსაზღვრული დავალებანი შესრულებულ იქნეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს როგორც რიცხვობრივად, ისე თვისებრივად, საქართველოს იქნეს ცნობილი შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

1. მოსავლიანობის გადიდების მიზნით:

- ა) განხორციელებულ იქნეს თავთავიანთ კულტურების სათესლე მასალის გაწმენდა და გარკვევა და სიმინდის ტაროს შერჩევა და დახარისხება 100%/ო-ით;
- ბ) განხორციელებულ იქნეს თავთავიანი კულტურების რიგ-რიგად დათესვა არა ნაკლებ, ვიდრე ნაკვეთის 30%/ო-ისა და სიმინდის—50%/ო-ისა;
- გ) გაფართოებულ იქნეს მინერალური სასუქით გაპატივებული ფართობი 12.400 ჰექტარამდე. ამასთანავე მინერალური სასუქი უმთავრესად ხმარებულ უნდა იქნეს ტექნიკური კულტურების რაიონებში და აგრეთვე ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ნაკელი, ნაცარი და მწვანე სასუქი;
- დ) გატარებულ იქნეს ნიადაგის მოკირვა და მოტკილვა დასავლეთ საქართველოს რაიონში 1.500 ჰექტარზე.
- ე) მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა განხორციელდეს დავალებანი ტექნიკური და სამარცვლეულო კულტურების ფართობის საშემოდგომო-სახამართო და აღრიანი მოხვნისათვის;
- ვ) ჩატარებულ იქნეს სათესლე მარცვლეულის გაწმენდა გულაფშუტით და ავადებულ რაიონებში—100%/ო-ით;



ბ) განხორციელებულ იქნეს მასიური სავალდებულო წამლობა ბაღებისა და ვენახების ძირითად მებაღეობა-მევენახეობის რაიონებში და აგრეთვე მასიური ლონისძიებანი კალიასთან, მინდვრის თავგთან და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სენელებასთან საბრძოლველად.

2. შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით:

ა) ჩატარებულ იქნეს საწარმოო საშუალებათა თავის დროზე მომზადება, სამუშაო გეგმების თავის დროზე შედგენა და მათი დამუშავება საწარმოო თათბირებზე, ბრიგადებად დანაწილება და სხვ.;

ბ) საესეზით დატვირთულ იქნეს წარმოების საშუალებანი, განსაკუთრებით კი—ტრაქტორები და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები; თვითეული ტრაქტორის მუშაობის ხანგრძლივობა დღე-ღამეში დაწესდეს 20 საათი; დაწესდეს მტკიცე ნორმები ძალა-საათების დახარჯვისა სამუშაოს სახეების მიხედვით.

ტრიერებზე, მარცვლის საწმენდ დანადგარზე და სათესლე მასალის გასაწმენდავ მანქანებზე მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს.

3. სოფლის მეურნეობაში დანაკარგთან ბრძოლის ლონისძიებათა წარმატებით გაშლისათვის და შინაგანი რესურსების მოზილიზაციისათვის საჭიროა ხელი შეეწყოს საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების ინიციატივის განვითარებას, რათა გამოუმუშავებულ იქნეს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს წამახალი-სებელი ლონისძიებანი.

4. იმ ლონისძიებათ, რაც უზრუნველყოფს სავაზაფხულო თესვის გეგმის აღსრულებას, საფუძვლად უნდა დაედვას თვითეული საბჭოთა მეურნეობისა, კოლექტიური მეურნეობისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა, სასოფლო ამბანაკობისა და სოფლის მიერ სამუშაო გეგმის თავის დროზე შედგენა, გეგმის აღსრულების საკალენდრო ვადების აღნიშვნით და ცალკეული სახის სამუშაოთათვის პასუხისმგებელი აღმასრულებლის გამოყოფით.

სამუშაო გეგმის შედგენა ყველა ობიექტისათვის დამთავრებულ უნდა იქნეს ისეთი ვარაუდით, რომ მისი დამუშავება საწარმოო თათბირებზე და საერთო კრებებზე, ფართო მასების მონაწილეობით, დასრულებულ იქნეს არა უგვიანეს, ვიდრე იანვრის ბოლოს; ამასთანავე, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული შემზღვეური გეგმის წეთოდი.

5. სამზადისის სამუშაოები გაშლილ უნდა იქნეს ისეთი ვარაუდით, რომ:

ა) ძველი კოლექტიური მეურნეობების მიერ სათესლე ფონდების გამოყოფის შემოწმება და მათი შენახვის წესი დამთავრებულ იქნეს იანვრის 15-სათვის;

ბ) კოლექტიურ მეურნეობებში სათესლე ფონდების მოგროვება დამთავრებულ იქნეს მთელი დავალების 75% იანვრის 15-სათვის, ხოლო დანარჩენი—მარტის 1-სათვის;

გ) სადაზღვევო ფონდების შეგროვება ინდივიდუალურ მეურნეობებში დამთავრებულ იქნეს იანვრის 15-სათვის;

დ) მარცხის გაწმენდა და გადარჩევა დამთავრებულ იქნეს მარტის 15-სათვის;

ე) შესაკეთებელი სას.-სამ. ინვენტარის გადარჩევა და სარემონტო სახელოსნოებში მიზიდვა დამთავრებულ იქნეს იანვრის განმავლობაში; ამასთანავე, არა ნაკლებ, ვიდრე მთელი გადარჩეული ინვენტარის 75%/ს რემონტის დამთავრება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თებერვლის 15-სათვის, ხოლო დანარჩენისა — მარტის 15-სათვის;

ვ) ნაკლის გამოტანა ყველგან საქართველოში დამთავრებულ იქნეს იანვრისა და თებერვლის განმავლობაში.

6. განსაზოგადოებული სათესლე ფონდების შეკრევა კოლექტიურ მეურნეობებში განსაზღვრულ იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სავაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებას; ამასთანავე დათესილი უნდა იყოს საუკეთესო სათესლელო თვისებისა და მილად გაწმენდილი მარცხალი.

ახლად მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში ახლად შესულ მეურნეობათა თესლის განსაზოგადოება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, კოლექტიური მეურნეობის მოწყობისა და აგრეთვე ახალი მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისთანავე.

7. მეცხოველეობის ძირითადი დარგების განვითარების უზრუნველსაყოფად:

1) გაფართოებულ იქნეს საკვები კულტურების ფართობი 289%/ით;

2) სრულიად აღკვეთილ იქნეს დაცვა:

ა) მოხარდი მსხვილი რქოსანი საქონლისა; საფურე ხბო, ბოჩოლა და დეკეული 18 თვემდე, აგრეთვე მოზვიერი ერთ წლამდე; ბ) შიშაქისა 18 თვემდე; გ) ღორისა, ნეზეი-ღორისა და მამალი გოქისა 8 თვემდე, გარდა აშკარად უფარგისისა; დ) ბულისა, ყოჩისა და კერატისა, რომელიც სანაშენოდ გამოსადგვია, აგრეთვე ძროხისა მე-8 მომშობიარობამდე, რომელიც სარეპროდუქციოდ გამოდგება; ე) ყოველგვარი მკე საქონლისა;

3) უზრუნველყოფილ იქნეს საგრილობელი კამპანიების წარმატებით ჩატარება და საკომპლექსო აგრო-ზოო-ლონისძიებათა განხორციელება კოლმეურნეობებში მსხვილი რქოსანი საქონლისა, მელორეობისა და მეფრინველეობის დარგში.

4) უზრუნველყოფილ იქნეს ღონისძიებათა მაქსიმალური გატარება სათიბების და საძოვრების დაცვისა და გაუმჯობესების საქმეში მიწათმოწყობისა, მელიორაციისა, სხვადასხვა საქონლისათვის საძოვართა სარგებლობის მტკიცე წესების დამყარებისა და ძოვების ვადებისა და საძოვართა დატვირთვის ნორმების განსაზღვრის საშუალებით.

5) უზრუნველყოფილ იქნეს სასილოსო მშენებლობის გაფართოება წლიური პროგრამის 176.000 ტონამდე, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალა და სათანადო რაიონებში უპირატესად უნდა მოეწყოს მარტივი სასილოსო დანადგარი (ორმო და ტრანშეა).

8. მიენდოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს, ერთი დეკადის ვადაზე, კულტურების კონტრაქტაციისა, ტენიკური კულტურე-

ბით დასათეს ახალ რაიონებში თესლის შეზიდვისა და სოიას, არახისისა, კარტოფილისა, ლობიოს, საბოსტნე კულტურებისა და სათესი ბალახის თესვის მომარაგების რაიონობითი გეგმები.

9. რადგანაც თელსაჩინო ნაკლებობაა საბოსტნე კულტურების თესლისა, კარტოფილისა, არახისისა, ლობიოსი და საკვები ბალახეულობისა, წინადადება მიეცეს ყველა საბჭოთა მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას და სოფლის ამხანაგობას მაქსიმალურად გამოიყენონ და შეაგროვონ ყოველგვარი სათესლე შინა რესურსები.

10. დაველოოს სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საქართველოს საბჭოთა საზოგადოებას უზრუნველყოფის თავის დროზე რაიონებში თესლის დამწამლავ საშუალებისა და შხამების შეზიდვა—სათესლე მარცვლის დამწამლვისა, ბაღების მასიური წამლობისა და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის გეგმასთან შესაბამისად.

11. საწარმოო საშუალებებით სოფლის მეურნეობის მომმარაგებელ ამიერკავკასიის შერეულმა საბჭოთა საზოგადოებამ თავის დროზე უნდა უზრუნველყოფს მინერალური სასუქის შემოზიდვა ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სავაზაფხულო თესვის საჭმეს.

12. ჩატარებულ იქნეს ღონისძიებანი, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მთლად არსებული სარემონტო სახელოსნოების ქსელის გამოყენებას (გამტარებლობის გაძლიერება და ორწყობითი მუშაობის შემოღება), მათ შეესებას და სათანადო ნაწილების მომარაგებას საჭირო რაოდენობით.

ამავე დროს მიღებულ იქნეს ღონისძიებანი ყოველგვარი სახელოსნოს (სარკინისგზო, სატრანსპორტო წყალსადენისა და ნავთსადენისა) და სოფლის სამქედლოების ფართოდ გამოყენებისათვის.

13. დაველოოს საწარმოო საშუალებებით სოფლის მეურნეობის მომმარაგებელ ამიერკავკასიის საბჭოთა საზოგადოებას—იხმაროს ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ შემოზიდულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ისეთი რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია სავაზაფხულო თესვის გეგმით, და უზრუნველყოფს ინვენტარის მიწოდებას საბჭოთა მეურნეობამდე, კოლმეურნეობამდე და სოფლის ამხანაგობამდე ისე, რომ ეს ინვენტარი არ დაბანდდეს სარაიონთაშორის საწყობებში.

14. დაველოოს ცეკავშირს უზრუნველყოფის თავის დროზე გეგმით გათვალისწინებული სათანადო თვისებისა და რაოდენობის ნავთის პროდუქტების შეზიდვა, რისთვისაც თავის დროზე ჩაატაროს სამზადისი ჩასასხმელი პუნქტებისა და ტრასის მოგვარებისათვის და მოაწიოს ამ პროდუქტების საბაზისო საწყობებიდან შიდა პუნქტებამდე გადაზიდვა.

15. ნავთის პროდუქტების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით დაველოოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ტრაქტორებს ხმარობენ:

ა) მოაწესრიგონ აღნუსხვა და დაწესონ რეგულიარული კონტროლი ნავთის პროდუქტების ფაქტობრივ ხარჯვისათვის;

ბ) მოაწიონ ტრაქტორებს შორის ფართო სოციალისტური შეჯიბრება ნავთის პროდუქტების ეკონომიისათვის და უზრუნველყოფს პრემიების მიცემა ნავთის პროდუქტების ეკონომიურად ხარჯვისათვის.



16. რადგანაც საგაზაფხულო თესვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ საწვე ძალას, ამის გამო უაღრეს ამოცანად ჩაითვალოს ამ ძალის თავის დროზე მომზადება სამინდვრე მუშაობისათვის და მიღებულ იქნეს გადაწყვეტი ლონისძიებანი. რათა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლექტიურმა მეურნეობებმა და სასოფლო ამხანაგობებმა უზრუნველყონ მუშა-საქონელი ფურაჯით გაზაფხულზე გამოსაკვებად; დაბრონირებული საფურაჯე ფონდების გამოყოფა დამთავრებულ უნდა იქნეს თებერვლის 1-სათვის.

17. დამთავრებულ იქნეს მიწათჩვენებისა და მიწათმოწყობის სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში არა უგვიანეს, ვიდრე ორი დეკადით ადრე თესვის დაწყებამდე.

ამდე დროს სათანადო ლონისძიებებით მიღწეულ იქნეს თავის დროზე განსახლება და გადასახლება იმ მეურნეობებისა, რომელთაც შეეხება მიწათმოწყობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობებისათვის ფაქტიური მიწათსარგებლობა.

18. დავეალოს შრომის სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრთან ერთად, საგაზაფხულო თესვის გეგმის საფუძველზე, შეიმუშაოს არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლის 15-სა რაიონობით გეგმა ტენიკური კულტურების რაიონების მუშა-ძალით დაკმაყოფილებისა—პირველ რიგში საბამზე, ახალი ხრალეული კულტურებისა და ჩაის მეურნეობებისა. ამ მიზნით, სხვათა შორის, შრომა-ტევადი კულტურების კოლმეურნეობებში გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა კოლმეურნეობათა თავისუფალი მუშა-ძალა.

19. წინადადება მიეცეს ცეკაევირს— შეიმუშაოს არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლის 15-ისა გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მონაწილეობისა საზოგადოებრივი კვების მოწყობის საქმეში საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და სასეზონო მუშების თავმოყრის ადგილებში მინდვრის სამუშაოების წარმოების დროს.

20. მიენდოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შოაწყოს სამკურნალო დახმარება მინდვრის სამუშაოების წარმოების დროს საგაზაფხულო თესვის პერიოდში, პირველ რიგში—მალარიან რაიონებში.

21. მიენდოს განათლების სახალხო კომისარიატს—საგაზაფხულო თესვის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში ფართოდ გაშალოს პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა, რაც დაუკავშიროს ამ კამპანიის ამოცანებს.

22. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე გეგმა ტენიკური კულტურების რაიონების თავის დროზე პერეული პროდუქტებით მომარაგებისა ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა ამ რაიონების სავსებით დაკმაყოფილებისათვის სასოფლისათო მარცვლეულით.

23. მიენდოს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, წყალსამეურნეო გეგმის სამუშაოთა საფუძველზე, უზრუნველყოს 1931 წლის გაზაფხულისათვის ახალი მელოიორებელი ფართობების გამოსვლა 25.600 ჰექტარის რაოდენობით, ამ რიცხვში—მორწყვით—22.600 ჰექტარი და დაშრობით—3.000 ჰექტარი.



24. რადგანაც სავაზაფხულო თესვის კამპანიის სათანადო მოწყობა, წარმატებით ჩატარება და ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც თვითნული რაიონისათვის ვარკვევით იქნება ჩამოყალიბებული კამპანიის ამოცანები და მასები გამოიჩინენ ინიციატივას და აქტიუობას, — ამიტომ ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი საორგანიზაციო მუშაობა და ქვეყიდან მომდინარე მასების ინიციატივასა და აქტიუობას გვეწიოს მეთაურობა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ფორმის მუშაობა სუფლად და მოხდეს მასების მობილიზაცია თესვის უაღრესი მნიშვნელობის ამოცანათა გარშემო.

საბჭოთა ორგანოებმა, პროფესიონალებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა წახალისონ და ხელი შეუწყონ ქალაქიდან გავეული ყოველგვარი ფორმის დახმარებას (საწარმოო შეფობა, ბრიგადების გაგზავნა და სხვ.) — მრეწველობიდან სასოფლო სამეურნეო წარმოებაში სოციალისტური შრომის ფორმებისა და მეთოდების გადატანის საქმეში, როგორც არის მავალითად: სოციალისტური შეჯიბრება, დამკვერლობა, ბრიგადების შექმნა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.

კერძოდ — სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებსა, სოფლებსა და რაიონებს შორის ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითნულმა საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ, სოფელმა, კოლმეურნემ და ინდივიდუალურმა ღარიბმა და საშუალო მეურნემ წინდაწინვე პირადად იცოდეს, ვინ ვის ეჯიბრება, რა შედეგებს უნდა მიიღწიოს და წახალისების რა ფორმები დასახული.

25. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანია კოლმეურნეობებში, რათა გამგეობის ანგარიშების გარშემო გაიშალოს თვითკრიტიკა და ეს კამპანია დაუკავშირდეს არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებასა და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის ამოცანებს.

26. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი სისტემა მაქსიმალურად უნდა დაირაზმოს ფართო საორგანიზაციო-განმარტებითი მუშაობის ჩატარებისათვის — კოლექტიურ მეურნეობებში ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ჩასაბმელად.

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლექტიურმა მეურნეობებმა ფართო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ და საშუალო მეურნეობათ იმ მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურად შესვლას კოლექტიურ მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მაქსიმალური საწარმოო და ორგანიზაციული დახმარება უნდა გაუწიონ სუსტ კოლექტიურ მეურნეობებს, კერძოდ მათ უნდა გამოჰყონ გამოკდილი ორგანიზატორები ახლად მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა განსამტკიცებლად.

27. დავეალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და კოლმეურნეობათა ცენტრს იხმარონ ღონისძიება კოლმეურნეობებში სავაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის გვემების თავის დროზე შედგენისათვის, რისთვისაც მობილიზებულ იქნეს აგრონომიულ ძალთა მაქსიმალური რაოდენობა.



28. დაველოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო-სამეურნეო-საგაზაფხულო განყოფილებებს — უზრუნველყონ ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევა საგაზაფხულო მოსავლის ყველა სამუშაოსათვის.

მიწვეულ უნდა იქნეს, რომ საადგილმამულო ორგანოები მთლად ანხორციელებდნენ ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას და მედგრად იბრძოდნენ მუშაობაში ცალკეული ჩამორჩენილი ნაწილების წინააღმდეგობისათვის; ამიტომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გააძლიეროს ნამდვილი კოცხალი კავშირი რაიონებთან სრული და მუდმივი ოპერატიული ხელმძღვანელობისა და გეგმის შესრულების მსვლელობისათვის ზედმიწევნითი მეთვალყურეობის გასაწევად.

29. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა — ყველა თავისი სისტემებით — და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა უნდა ჩაატარონ კადრების მასიური მომზადება და გარდაამზადება და თვიურ, ხუთმეტრიდან და ოცდიან კურსებში უნდა ჩაიბან სოფლის ხელმძღვანელი აქტივიდან არა ნაკლებ 6.000 კაცისა და აგრეთვე, აგრო-კოლმეურნეობითი უკოდინარობის ლიკვიდაციისათვის, უნდა მოიკვან კოლმეურნეთაგან და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთაგან 18.000 კაცამდე, რისთვისაც უნდა გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები.

30. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა ვადამდე გამოშვებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 250 სტუდენტის და ტექნიკუმის 560 მოსწავლის გამოყენებისა რაიონების და სპეციალობის მიხედვით; ხოლო 1931 წ. გაზაფხულიდან — უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში სწავლის დაწყება ისე, რომ ინსტიტუტის ყველა სტუდენტმა და ტექნიკუმების ყველა მოსწავლემ გაიაროს საწარმოო პრაქტიკა მინდგრად თესვისა და შემდეგ მოსავლის აღების კამპანიების ჩატარებასთან შეთავსებით.

31. წინადადება მიეცეს „სახელგამს“ უზრუნველყოს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია პოპულიარული სამეურნეო-პოლიტიკური საკლებო ლიტერატურით.

32. წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციებს ფართო მომსახურეობა გაუწიონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიას.

33. დაველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამა დადგენილების საფუძველზე, იხმაროს ლონისძიებანი, რათა საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანიის ყველა დეალებმა თესვის სფეროში დაუყოვნებლივ მიწვედნენ იქნეს რაიონებამდე და ავტონომიურ ერთეულებამდე. ისეთი ვარაუდით, რომ მათ უზრუნველყონ კონკრეტულ დეალებათა მიწვედნა საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე, სასოფლო ამხანაგობამდე და კომლამდე არა უგვიანეს იანვრის 15-სა.

დაველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ამავე ვადისათვის დაამთავრონ თესვის მტკიცე დეალებათა მიცემა კულაქურ მეურნეობათათვის.

34. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რაიონებისათვის მიწოდებული რაიონობითი განაწილება კულტურების ფართობისა საერთოდ დამატკიცებულ იქნეს; ამასთანავე წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 5 დღის ვადაზე გააზუსტოს ფართობის განაწილება ამა დადგენილების შესაბამისად და აგრეთვე დეკადის ვადაზე შეიმუშაოს ლონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ დაეალებათა აღსრულებას რაიონებსა და სექტორებში.

35. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულად 1931 წ. სხვაგვარად სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში დინიშნოს საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამბ. შ. მათიკაშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოგია.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-8 №-ში 1931 წ. იანვრის 9.

სანადირო და სათევზე მუშარეობა

16. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახების გადაცემის შესახებ.

„სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის სათევზე მუშარეობის გამგებლობის ფუნქციების გადაცემის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 466)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაიცეს „საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოების გამგებლობაში ყველა სათევზე სანახები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ.

2. აიკრძალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ—სათევზე სანახების ექსპლოატაცია „საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოების სათანადო ნებართვის გარეშე.

შენიშვნა. არა-სამრეწველო ხასიათის თევზის ჭერა, ე. ი. ისეთი თევზისჭერა, რასაც აწარმოებს მოსახლეობა საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, შეიძლება თავისუფლად, „საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოების უნებართვოდ.

3. დაველოს ყველა იმ სახელმწიფო საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კერძო პირს (ფიზიკურსა და იურიდიულს), რო-



მელიც აწარმოებს თევზის ჭერას სამრეწველო სახით, ხუთმეტრი დღის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, დასდვას ან ხელობად დასაწყისად ხელშეკრულება სათევზე სანაბების ექსპლოატაციის უფლების თაობაზე „საქართველოს თევზი“-ს სააქციო საზოგადოებასთან, ან მიიღოს მისგან სათანადო ნებართვა.

4. თევზის ვაჭრობა ნებართვულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, რომ გასაყიდო თევზის პროდუქტები შექმნილ იქნება იმ ორგანიზაციებისა და პირებისაგან, რომელთაც აქვთ თევზის ჭერის უფლება.

5. ამა დადგენილების მე-2 მუხლის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის თანახმად, ხოლო მე-4 მუხლის დარღვევისათვის—იმავე კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

შენიშვნა. ამა დადგენილებით გათვალისწინებული არაკანონიერი თევზის ჭერისა და თევზის პროდუქტების გაყიდვის აღმოჩენით მიეცემათ გასამრჯელო აღმოჩენილი დაჭერილი თევზის თუ გაყიდული პროდუქტების ლიკვირების 50%-ის რაოდენობით სადამხადელო ფასების თანახმად.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. გოგია.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1931 წ. იანვრის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-9 №-ში 1931 წ. იანვრის 10.

სოციალური და საბინაო მუშაობა

17. დადგენილება ს. კ. ს.

ტფილისის ტრამვაის შეღავათიანი ბილეთების გაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ტფილისის მუშებს ტფილისის ტრამვაის ბილეთები მიეცემათ შეღავათიან ფასებში.

2. ბილეთების შეღავათიან ფასებს იხდიან თეთი მუშები, ხოლო განსხვავებას საერთო და შეღავათიან ფასებს შორის—სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ის საწარმო, სადაც მუშა მუშაობს.

3. ტფილისის ტერიტორიაზე არსებულ სამეურნეო ანგარიშზე მომჭმდე ყველა საწარმოს ევალება წარუდგინოს ტრამვაის დირექციას ორი კვირის განმავლობაში ცნობები მისთვის საჭირო შეღავათიანი ბილეთების რაოდენობის შესახებ.

4. სტუდენტს შეღავათიანი ბილეთი მიეცემა არსებული წესისამებრ—იმ შემთხვევაში, უკეთესი იგი არ მსახურობს და ინსტრუქტიდან ორ კლომეტრზე უფრო ახლო არ ცხოვრობს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1931 წ. იანვრის 15-დან.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. გოგია.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1931 წ. იანვრის 10.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-11 №-ში 1931 წ. იანვრის 13.



შინაწილები

18. დადგინდება ს. კ. ს.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკური მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკური მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის მსვლელობის შესახებ, და იგი სცნობს, რომ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი გამოაშკარავებულია არასაკმარისი რაოდენობით და რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკთა მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის შედეგები არა-დამაკმაყოფილებელია. ამისდამიხედვით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს იუბილეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ადგილობრივ საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი კულაკურ მეურნეობათა გამოაშკარავებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრისათვის.

ამასთანავე, მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ:

ა) კულაკურ მეურნეობათა შემოსავალი გამოიანგარიშება ყოველი ცალკეული დარგის მიხედვით და დაიბეგრება ნამდვილი შისი რაოდენობით. ამასთანავე დაიბეგრება სოფლის მეურნეობის ყველა წყაროს შემოსავალი და არა-სამიწათმოქმედო ყველა სახის საშოვარი, ამ რიცხვში იმ წყაროების შემოსავალიც, რაც ამა თუ იმ რაიონის საშუალო მეურნეობებში არ იბეგრება (მაგალითად, მელორეობა, მეფრინველეობა და სხვ.);

ბ) სოფლის მეურნეობის წყაროების შემოსავალი კულაკურ მეურნეობაში განისაზღვრება არა საერთო შემოსავლისა და თვითელი დარგის ცალკეული ხარჯების დაწვრილებით გამოანგარიშებით, არამედ მეურნეობის დასაბეგრავი ობიექტებისა და საშუალო შემოსავლის გამადიდებელი ნიშნების საფუძველზე;

გ) ყოველგვარი არასამიწათმოქმედო საშოვარი, ამ რიცხვში სამუშაო ხელფასიც, მიიღება ანგარიშში და დასაბეგრავ შემოსავალში ჩაირიცხება 100%-ის რაოდენობით;

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრილ მეურნეობას არაერთიარო შეღავათი არ მიეცემა.

2. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ 1930 წ. მარტის 16 ის თარიღით გამოცემული დადგენილებების (კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55; მე-15 №-ი, მუხ. 245 და 24 №-ი, მუხ. 358) 25 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

25. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება ერთ-ერთ შემდეგი ნიშნის მიხედვით:



ა) უკეთეს მეთურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული მუშა-სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის, ან საშინამრეწველო რეწობაში და საწარ-მოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამო-ყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრე-ბულ ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ რაო-დენობას;

მუშა-ძალის დაქირავების ზღვრული რაოდენობა, რაც არ იწვევს მეთურნე-ობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესებულ იქნეს:

სამარცვლელულო მეთურნეობებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, გარდა მებაშბეობის რაიონებისა	50	დღე წელიწადში
სამარცვლელულო მეთურნეობებისათვის აღმოსავლეთ სა-ქართველოს მებაშბეობის რაიონებში და დასავლეთ სა-ქართველოს რაიონებში	35	" "
საბაღე და საბოსტნე მეთურნეობისათვის	75	" "
სავენახე მეთურნეობისათვის ძირითად მევენახეობის რაიონებში	100	" "
სავენახე მეთურნეობისათვის დანარჩენ რაიონებში	75	" "
საჩაიე მეთურნეობისათვის	100	" "
საბამბე მეთურნეობისათვის	150	" "
სათამბაჭო მეთურნეობისათვის	200	" "
სამესაქონლეო მეთურნეობისათვის	1	მწყემსის თანამეშვე-მებრინჯეობის მეთურნეობისათვის, მებაშბეობის რაო-დენობის ვარგე
	50	დღე წელიწადში.

შენიშვნა. მებრინჯეობის მეთურნეობის მიერ მებაშბეობის რაიონში

მუშა-ძალის დაქირავება ჩაითვლება ინდივიდუალური წესით დაბეგვრის საფუძვლად იმისდამიუხედავად, რა რაოდენობის მუშა-ძალაა დაქირავებული;

ბ) უკეთეს მეთურნეობას აქვს ისეთი წისქვილი, ზეთის სახდელი ან კარაქის სადღეები, ბურღლის საფქველი, ფეტვის საფქველი, საჩეჩელი, მატყლის საპენ-ტი, სასრესი, კარტოფილისა, ხილისა და ბოსტნეულის სახმომ-საშრობი და სა-ცეხველი საწარმო, ნორმული ქარბანა ან სხვა რამ სამრეწველო საწარმო, რო-მლისთვისაც გამოიყენება მექანიკური ძრავი;

უკეთეს მეთურნეობას აქვს იმგვარი საწარმო, რომელიც მოქმედობს ქარის თუ წყლის ძალით, და რომლის შემოსავალიც აღემატება 125 მანეთს წელიწადში;

შენიშვნა 1. წყლის ან ქარის წისქვილი კულაკურ მეთურნეობის ნიშნად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, უკეთეს მეთურნეობის მიერ მიღებული მარცვ-ლულობის სასაქონლო ნაწილის ღირებულება საბაზრო ფასების მიხედ-ვით (და უკეთეს რეალიზაცია მოხდა, მიღებული თანხის მიხედვით), ხოლო მეთურნეობის მიერ მოხმარებული და სამინდგე გამოსაღების სახით გადახ-დვიანებული მარცვლულობის ნაწილის ღირებულება, მტკიცე ფასების მი-ხედვით წელიწადში 125 მანეთს აღემატება.



შენიშვნა 2. უკეთეს წყლის ან ქარის ძალით მომქმედი საწარმოების დენსამე თანამონაწილეს ეკოთენის, მათ შორის ინდივიდუალური წესით დაიბეგრებიან მხოლოდ ისინი, რომელთა შემოსავალიც საწარმოს მათი კუთვნილი ნაწილისა 125 მანეთს აღემატება წელიწადში, თუნდაც სხვა ნიშნები არ იყოს;

ბ) უკეთეს მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო და ამ საწარმოს მეშვეობით იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას სამუშაოს სახლში გაცემით ან ეს საწარმო იჯარით აქვს გაცემული და მისი შემოსავალი 125 მანეთს აღემატება წელიწადში;

დ) უკეთეს მეურნეობა სისტემატიურად აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობისათვის სასყიდლის აღებით და მისი შემოსავალი 125 მანეთს აღემატება წელიწადში;

ე) უკეთეს მეურნეობა იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებზე, რასაც სარაიონო საგადასახადო კომისია სცნობს კაბალურ პირობებზე მიწის გამცემლისათვის;

ვ) უკეთეს მეურნეობა სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით იჯარით იღებს ბალს, ვენახს სხვ;

ზ) უკეთეს მეურნეობა აქირავებს ცალკეულ მოწყობილ შენობებს საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად და ამ ქირავნობის შემოსავალი 150 მან. აღემატება წელიწადში, გარდა საკურორტო რაიონების მეურნეობებისა, რომელნიც აქირავებენ საცხოვრებლად გაწყობილ სადგომებს;

საკურორტო რაიონის მეურნეობა კი კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობის საერთო შემოსავალი 500 მანეთს აღემატება, ხოლო ცალკეულ საცხოვრებლად გაწყობილი სადგომის გაქირავებით მიღებული შემოსავალი წელიწადში 200 მანეთს აღემატება;

თ) უკეთეს მეურნეობის წევრი ეწევა ვაჭრობას, მფენახეობას ან მას აქვს სხვა არაშრომითი შემოსავალი (მათ შორის კელტის მსახური), მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიუხედავად;

3. ინდივიდუალური წესით გამონაგარიშებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის თავის დროზე და მთლიანად გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით წინადადება მიეცეს აუზაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აწარმოონ კულაკურ მეურნეობათა ქონების სავარანტო აღწერა.

4. წინადადება მიეცეს აუზაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იქონიონ ზედმიწევნით მეთვალყურეობა, რათა ინდივიდუალური წესით არ იბეგრებოდეს საშუალო მეურნეობანი და ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნენ სასტიკ პასუხისგებაში აღმინისტრაციული ან სასამართლო წესით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანაძე.**

1931 წ. იანვრის 8.

ტფილისი სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-8 №-ში 1931 წ. იანვრის 9.



19. დადგენილება ს. კ. ს.

„ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 8-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მე-2 აბზაცში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კულაკურ მეურნეობების ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგვრის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 8-ის დადგენილების (გაზ. „კომუნისტი“-ს მე-8 №-ი 1931 წ. იანვრის 9-სა) მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვები „სამესაქონლეო მეურნეობისათვის—1 მწყემსის თანაშემწე“ შეიცვალოს შემდეგ სიტყვებად:

„სამესაქონლეო მეურნეობისათვის: მეცხვარეობაში—1 მწყემსი, ხოლო სხვა სახის მესაქონლეობისათვის—1 მწყემსის თანაშემწე“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 10.

ტფილისი.—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-11 №-ში 1931 წ. იანვრის 13.

სოციალურ-კულტურული წყობილება

20. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის მაისის 6-ის დადგენილებით (კან. კრ. 1930 წ. 17 №-ი, მუხ. 269 და 271) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის სექტემბრის 8-ის დადგენილება საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის წევრთა პირველი შედგენილობისა და მისი პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ (გაზ. „კომუნისტი“-ს №-ი 218).

საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. ლ. სუხიშვილი.

საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი.—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-5 №-ში 1931 წ. იანვრის 6.

21. დადგენილება ც. ა. კ.

მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის წევრებად დამტკიცებულ იქნენ— აკადემიკოსი ნიკოლოზ მარი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკია, მამია ორაბელაშვილი, კარლო ორაგველიძე, დავით დოლიძე, იოსებ ვაწყაძე, პეტრე შარია, ბოლოტნიკოვი, კონსტანტინე გორდელაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, მალაქია ტოროშელიძე, გაიოზ დედეარიაძე, ალექსანდრე დუღუაძე, თენგიზ ელენტი, ლისოვსკი და ზოსიმე ჩახვაძე.

3. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გამგეობა დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შემადგენლობით: ინსტიტუტის დირექტორი— ანხ. ფ. მახარაძე, მოადგილენი: კ. ორაგველიძე და პ. შარია, წევრები: მ. ორაბელაშვილი, მ. ტოროშელიძე, კ. გორდელაძე და ი. ვაწყაძე.

4. მიენდოს მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გამგეობას ერთი თვის ვადაზე წარმოდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს პროექტი დებულებისა მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-5 №-ში 1931 წ. იანვრის 6.

22. დადგენილება ც. ა. კ.

„ფიზკულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

„ფიზკულტურის სფეროში მუშაობის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. თებერვლის 4-ის დადგენილების მე-6 მუხლი (გაზ. „კომუნისტის“ 52 №-ი 1930 წ.) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„6. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო დაწესებულებას და საწარმოს, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფს, და აგრეთვე ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას დააწესონ საეკონომიკური ანგარიშები მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების თონდიდან 5%-ის რაოდენობით საქ.



ფიზ. კულტ. უმაღლესი საბჭოს მასიური გამაჯანსაღებელი მუშაობის ფონდისათვის.

შენიშვნა. იმ საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 1 №-ი, მუხ. 3) მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გადარიცხვას ხოლმე ბინათმშენებლობისათვის არა ნაკლებ 95 პროცენტისა, უნდა გადარიცხოს საქ. ფიზ. კულტ. უმაღლესი საბჭოს მასიურ გამაჯანსაღებელ ფონდში არა ნაკლებ, ვიდრე 20 პროცენტი მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის იმ ნაწილისა, რაც დარჩება ბინათმშენებლობისათვის 95 პროცენტის გადარიცხვის შემდეგ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. **ლ. ხუბიშვილი.**
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი-სასაზღვ.

სისხლის სამართალი

23. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

„საქონლის დაუზოგველი დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილებისა („იზვესტია“-ს 319 №-ი) და ამ დადგენილების განსახორციელებლად საქირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აქტესრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 3-ის დადგენილების („ხარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 327 №-ი) შესაბამისად, აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹ მუხლი (კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 38) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„136¹. კანონით აკრძალული დაკვლა ჯიშინი და მკე საქონლისა, მოხარდი საქონლისა და სანაშენო საქონლისა, რასაც სიბოროტით ჩაიდენს კულაკი და ჩარჩი, ან მათ მიერ ვისიმე შეგულიანება ასეთი დაკვლისათვის გამოიწვევს— განსაზღვრული ადმინისტრაციული გადასახდელის გარდა—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, უწყებელი ადგილიდან განდევნიონ ან უამისოთ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. **ლ. ხუბიშვილი.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ხ. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი-სასაზღვ.

24. დადგინილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგინილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მე-2 ნაწილი (კან. კრ. 1929 წ. მე-17 №-ი, მუხ. 189) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კოოპერატიულ დაწესებულებასა თუ საწარმოსთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის თაობაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სიბოროტით შეუსრულებლობა—

იძულებით მუშაობას ექვემდებარება ან ჯარიმას სამას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. ლ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარის მოადგილე ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი-სასაზღვ.